

ინდოევროპული ენების საერთო ლინგვისტური ნიშნები მორფოლოგიურ დონეზე

(გერმანიკული ენების მაგალითზე)

არსებითი სახელი

მეოთხე თავში, სადაც საუბარია ისტორიულ-შედარებით მეთოდზე, ნაწილობრივ განხილულია მონათესავე ენების საერთო ლინგვისტური ნიშნები მორფოლოგიურ დონეზე. აღნიშნულია, რომ მორფოლოგიურ დონეზე კანონზომიერი შესატყვისობები მონათესავე ენებს შორის თავს იჩენს არსებითი სახელების, ზედსართავი სახელებისა და ნაცვალსახელების ბრუნვის დაბოლოებებში, ზმნათა უღლებაში, ცალკეული გრამატიკული კატეგორიების მსგავსებაში და სხვა. კონკრეტული მაგალითებით ნაჩვენებია მსგავსება ზმნათა უღლების სისტემაში სანსკრიტის, ლათინურის, გოთურისა და გერმანული ენების მასალაზე. წარმოდგენილია არსებითი სახელის ბრუნება გოთურსა და ძველ ინგლისურში, სადაც კარგად ჩანს ბრუნვის დაბოლოებების მსგავსება, ასევე ნაჩვენებია ე.წ. სუსტი ზმნები სხვადასხვა გერმანიკულ ენებში, რომლებიც წარსული დროისა და ნამყო დროის მიმდებარე ფორმებს დენტალური სუფიქსებით აწარმოებენ.

ამ თავში განვიხილავთ არსებითი სახელის მორფოლოგიას ძველ გერმანიკულ ენებში და მის ევოლუციას თანამედროვე გერმანიკულ ენებში, კერძოდ ეს ენებია: ინგლისური, გერმანული, შვედური და ისლანდიური. მონათესავე ენების საერთო ლინგვისტური ნიშნების შესახებ მსჯელობისას, კიდევ უფრო იკვეთება დიაქრონიული პერსპექტივის აუცილებლობა მონათესავე ენების ფაქტების კვლევისას. ინდოევროპულმა ენებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა და თანამედროვე ინდოევროპული ენები განსხვავდება მათი წინამორბედი ძველი ენებისგან. ამ ცვლილებების გათვალისწინების გარეშე, ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელია მონათესავე ენებს შორის მსგავსების დადგენა. ამიტომ, ამ თავში ჯერ წარმოდგენილი იქნება არსებითი სახელის ბრუნვის სისტემა თანამედროვე

ინგლისურ, გერმანულ, შვედურ და ისლანდიურ ენებში და შემდეგ მივუბრუნდებით ისტორიულ პერსპექტივას, რომელიც ბევრ კითხვას გასცემს პასუხს.

არსებითი სახელის ბრუნება თანამედროვე ინგლისურ ენაში.

თანამედროვე ინგლისური ენა ანალიზური ენაა და „ლარიბია“ ფლექციებით. არსებითი სახელის ბრუნება შემოიფარგლება საერთო ბრუნვით და კუთვნილებითი ბრუნვით. კუთვნილებითი ბრუნვა ძველი ინგლისური ენის ნათესაობითი ბრუნვიდან შემორჩა. მისი გამოყენება მეტად შეზღუდულია და არსებობს მთელი რიგი წესებისა, რომელ არსებით სახელთან შეიძლება მისი ხმარება. კუთვნილებითი ბრუნვა იწარმოება აპოსტროფ- ენის ('s) გამოყენებით, რომელიც განვითარდა ძველი ინგლისური ენის ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოებისგან -es. მრავლობით რიცხვში აპოსტროფი მოსდევს s-ს (s').

girl „გოგონა“	მხოლოდითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
საერთო	girl	girls
კუთვნილებითი	girl's	girls'

მრავლობითი რიცხვი თანამედროვე ინგლისურ ენაში იწარმოება სუფიქსებით -s, -es. dog – dogs, boy – boys, wife – wives, berry – berries და ა.შ.

არის რამდენიმე გამონაკლისი საერთო წესიდან, კერძოდ 3 არსებითი სახელი მრავლობით რიცხვს აწარმოებს სუფიქსით -en. მაგ.: child – children, ox – oxen, brother – brethren (*სულიერი ძმა, რელიგიური საძმოს წევრი*).

რამდენიმე არსებითი სახელი მრავლობით რიცხვს აწარმოებს უმლაუტით, ფუძისეული ხმოვნის მონაცვლეობით: foot – feet, tooth – teeth, goose – geese, mouse – mice, man – men, woman- women და სხვა.

ლათინური და ბერძნული ენებიდან ნასესხებ სიტყვებში, ჩვეულებრივ, მრავლობითი რიცხვის ფორმაც ამ ენების მოდელით იწარმოება: stratum – strata, datum – data, phenomenon – phenomena, syllabus - syllabi და სხვა.

არსებითი სახელის ბრუნება თანამედროვე შვედურ ენაში.

თანამედროვე შვედური ენა, ინგლისური ენის მსგავსად, ანალიზურ ენათა კატეგორიას განეკუთვნება. თანამედროვე შვედურში არსებითებს აქვს ორი გრამატიკული სქესი: საერთო და საშუალი.

შვედური არსებითი სახელის ბრუნება ორ ბრუნვას მოიცავს: საერთო და ნათესაობითი ბრუნვები. ასე მაგალითად: skog „ტყე“ (*საერთო სქესი*) > skogs „ტყისა“; flicka „გოგონა“ (*საერთო სქესი*) flickas „გოგონასი“; fisk თევზი“ (*საერთო სქესი*) > fisks „თევზისა“; barn (*საშუალი სქესი*) „ბავშვი“ > barns „ბავშვისა“ და სხვ.

მრავლობითი რიცხვის წარმოების მიხედვით შვედური არსებითები რამდენიმე ჯგუფად იყოფა:

(ა) მათი დიდი ნაწილი მრავლობითს აწარმოებს სუფიქსით **-ar¹** : skog „ტყე“ > *მრ. რ.* skogar „ტყეები“; fisk „თევზი“ > *მრ. რ.* fiskar „თევზები“ და ა.შ.

(ბ) **-a** დაბოლოების მქონე არსებითები მრავლობითს აწარმოებენ **-or** სუფიქსით : krona (*საერთო სქესი*) „გვირგვინი“ > *მრ. რ.* kronor „გვირგვინები“; kvinna (*საერთო სქესი*) „ქალი“ > *მრ. რ.* kvinnor „ქალები“ და ა.შ.

(გ) შვედურ არსებითთა ნაწილი მრავლობით რიცხვს **-er** სუფიქსით აწარმოებს (ზოგჯერ უმლაუტთან ერთად) : klass (*საერთო სქესი*) „კლასი“ > *მრ. რ.* klasser „კლასები“; bok „წიგნი“ (*საერთო სქესი*) > *მრ. რ.* böcker „წიგნები“ და ა.შ.

(დ) საშუალი სქესის არსებითთა დიდი ნაწილი, აგრ. **-are** (*მოქმედი პირის აღმნიშნველი სახელების მწარმოებელი*) სუფიქსზე დაბოლოებული საერთო სქესის არსებითები მრავლობით რიცხვში ფორმაუცვლელი რჩება.

მაგ. (ett) barn (*საშუალი სქესი*) „ბავშვი“ > *მრ. რ.* barn „ბავშვები“; (ett) problem (*საშ. სქესი*) „პრობლემა“ > *მრ. რ.* problem „პრობლემები“ და ა.შ.

(en) lärare (*საერთო სქესი*) „მასწავლებელი“ > *მრ. რ.* lärare „მასწავლებლები“ და ა.შ.

¹ აღსანიშნავია, რომ შვედური სუფიქსი -r (-ar, -or, -er) შეესატყვისება სუფიქსს -s გოთურში და დასავლურგერმანიკულ ენებში და მიღებულია როტაციზმის შედეგად. შეადარეთ, მაგალითად შვედური klasser და ინგლისური classes, შვედური böcker და ინგლისური books და სხვა.

საინტერესოა, რომ შვედურში არსებობს პოსტპოზიციური არტიკლები, რომლებიც არსებითებს განსაზღვრულობას ანიჭებს. ამ არტიკლების ფორმა მხოლოდით რიცხვში არის **-en, -n** საერთო სქესის არსებითებისთვის (მაგ. skog „ტყე“ > skogen; tunga „ენა“ > tungan); **-et, -t** – საშუალო სქესის არსებითებისთვის (barn „ბავშვი“ > barnet; hus „სახლი“ > huset).

ამ არტიკლების ფორმა მრავლობით რიცხვში კი არის **-na** საერთო სქესის არსებითათვის (მაგ. skogar „ტყეები“ skogarna; tungor „ენები“ > tungorna) და **-en** (ზოგჯერ აგრ. **-a**)– საშუალო სქესის არსებითათვის (barn „ბავშვები“ > barnen; hus „სახლები“ > husen).

ეს საკმაოდ მარტივი პარადიგმა ასე გამოიყურება:

skog „ტყე“ (საერთო სქესი)	მხოლოდითი რიცხვი		მრავლობითი რიცხვი	
	განუსაზღვრელი	განსაზღვრული	განუსაზღვრელი	განსაზღვრული
სახელობითი	skog	skogen	skogar	skogarna
ნათესაობითი	skogs	skogens	skogars	skogarnas

bok „წიგნი“ (საერთო სქესი)	მხოლოდითი რიცხვი		მრავლობითი რიცხვი	
	განუსაზღვრელი	განსაზღვრული	განუსაზღვრელი	განსაზღვრული
სახელობითი	bok	boken	böcker	böckerna
ნათესაობითი	boks	bokens	böckers	böckernas

kvinna „ქალი“ (საერთო სქესი)	მხოლოდითი რიცხვი		მრავლობითი რიცხვი	
	განუსაზღვრელი	განსაზღვრული	განუსაზღვრელი	განსაზღვრული
სახელობითი	kvinna	kvinnan	kvinnor	kvinnorna
ნათესაობითი	kvinnas	kvinnans	kvinnors	kvinnornas

barn „ბავშვი“ (საშუალო სქესი)	მხოლოდითი რიცხვი		მრავლობითი რიცხვი	
	განუსაზღვრელი	განსაზღვრული	განუსაზღვრელი	განსაზღვრული
სახელობითი	barn	barnet	barn	barnen
ნათესაობითი	barns	barnets	barns	barnens

არსებითი სახელის ბრუნება თანამედროვე გერმანულ ენაში.

თანამედროვე გერმანული ენა თავისი სტრუქტურით გაცილებით უფრო სინთეზურია, ვიდრე თანამედროვე ინგლისური, შვედური ან, მაგალითად, თუნდაც ჰოლანდიური

(ნიდერლანდური) ენები. ამ მხრივ გერმანული შედარებით უფრო ახლოს დგას გოთურთან, ძველისლანდიურთან და პროტოგერმანიკულთან. კერძოდ, გერმანული არსებითი სახელები იბრუნვის ოთხი ბრუნვის მიხედვით მხოლობითა და მრავლობით რიცხვში, ეს ბრუნვებია: სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი და ბრალდებითი. გერმანულში მკაფიოდაა გამოხატული მამრობითი, მდედრობითი და საშუალი გრამატიკული სქესები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე გერმანულ ენაში არსებითი სახელების ბრუნებაში წამყვან როლს განუსაზღვრელი და განსაზღვრული არტიკლები თამაშობს, თავად არსებითი სახელების ბრუნვების დაბოლოებები კი მნიშვნელოვნად არის რედუცირებული. ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ სწორედ ბრუნვადი არტიკლების გამოყენების ზრდამ გამოიწვია ბრუნვის დაბოლოებების თანდათანობითი რედუქცია სხვადასხვა კლასის გერმანულ არსებითთა პარადიგმებში (*უფრო დეტალურად ამაზე ოდნავ ქვემოთ*).

თავად გერმანული არტიკლების პარადიგმები კი შემდეგნაირად გამოიყურება:

გერმანული განუსაზღვრელი არტიკლების პარადიგმა

	მამრობითი	მდედრობითი	საშუალი
სახელობითი	ein	eine	ein
ნათესაობითი	eines	einer	eines
მიცემითი	einem	einer	einem
ბრალდებითი	einen	eine	ein

გერმანული განსაზღვრული არტიკლების პარადიგმა

	მამრობითი	მდედრობითი	საშუალი	მრავლობითი რ.
სახელობითი	der	die	das	die
ნათესაობითი	des	der	des	der
მიცემითი	dem	der	dem	den
ბრალდებითი	den	die	das	die

თანამედროვე გერმანულ ენაში გამოიყოფა არსებითი სახელების ბრუნვის ხუთი ტიპი, ძირითადად მრავლობითი რიცხვის წარმოების თავისებურებათა მიხედვით. ეს

ტიპებია: არსებით სახელთა ძლიერი ბრუნება, რომელიც, თავის მხრივ იყოფა მამრობითი და საშუალო სქესის ბრუნების ტიპებად, სუსტი ბრუნება, მდედრობითი ბრუნების ტიპი და ე.წ. ნულოვანი ბრუნების ტიპი (ამ ტიპის არსებითები მრავლობითში არანაირ დაბოლოებას არ დაირთავენ).

ქვემოთ წარმოდგენილია გერმანული არსებითი სახელების ბრუნების სამი ტიპის პარადიგმები:

გერმანული ძლიერი ბრუნება. მამრობითი სქესი

der Tag „დღე“, der Tisch „მაგიდა“		
	მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახელობითი	der Tag ² , Tisch	die Tage, Tische
ნათესაობითი	des Tag(e)s, Tisches	der Tage, Tische
მიცემითი	dem Tag(e), Tisch(e)	den Tagen, Tischen
ბრალდებითი	den Tag, Tisch	die Tage, Tische

გერმანული ძლიერი ბრუნება. საშუალო სქესი

das Land „ქვეყანა“, das Haus „სახლი“		
	მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახელობითი	das Land, Haus	die Länder ³ , Häuser ⁴
ნათესაობითი	des Land(e)s, Hauses	der Länder, Häuser
მიცემითი	dem Land(e), Haus(e)	den Ländern, Häusern
ბრალდებითი	das Land, Haus	die Länder, Häuser

გერმანული არსებითი სახელების სუსტი ბრუნება.

ამ ტიპის ბრუნება ხასიათდება იმით, რომ არსებით სახელებს აქვს დაბოლოება **-en** მხოლობითი რიცხვის ირიბ ბრუნებებში და აგრეთვე მრავლობითი რიცხვის ყველა ბრუნვაში:

² თანამედროვე გერმანულ ენაში ყველა არსებითი სახელი დიდი ასოთი იწერება.

³ Länder გამოითქმის ასე [ˈlændə(r)].

⁴ Häuser დაახლოებით ასე გამოითქმის [ˈhɔɪzə(r)].

der Bär „დათვი“, der Held „გმირი“		
	მხოლოდითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახელობითი	der Bär, Held	die Bären, Helden
ნათესაობითი	des Bären, Helden	der Bären, Helden
მიცემითი	dem Bären, Helden	den Bären, Helden
ბრალდებითი	den Bären, Helden	die Bären, Helden

მდედრობითი ბრუნება

ამ კლასის არსებითები მრავლობითს **-en** დაბოლოებით აწარმოებენ: die Frau „ქალი, ქალბატონი“ > *მრ. რ.* die Frauen; die Tür „კარი“ > *მრ. რ.* die Türen; die Meinung „აზრი, შეხედულება“ > *მრ. რ.* die Meinungen და ა.შ.

-en დაბოლოება თანამედროვე გერმანულში პრაქტიკულად მდედრობითი კლასის არსებითთა უმეტესობის უნივერსალურ დაბოლოებად არის ქცეული.

ნულოვანი დაბოლოების ბრუნების ტიპი

ამ კლასში შედის სამივე სქესის არსებითები, რომლებიც მრავლობით რიცხვში არანაირ დაბოლოებას არ დაირთავენ და, გარდა ამისა, ზოგიერთი მათგანის ფუძის ხმოვანი მრავლობით რიცხვში განიცდის უმლაუტს: der Ofen „ღუმელი“ > *მრ. რ.* die Öfen; der Vogel „ფრინველი“ > *მრ. რ.* die Vögel; der Vater „მამა“ > *მრ. რ.* die Väter; die Mutter „დედა“ > *მრ. რ.* die Mütter; der Bruder „ძმა“ > *მრ. რ.* die Brüder და ა.შ. ამავე ტიპს განეკუთვნება **-lein, -chen** კნინობით სუფიქსებზე დამთავრებული საშუალო სქესის არსებითები.

ასეთია თანამედროვე გერმანული ენის არსებითთა პარადიგმები მრავლობითი რიცხვის წარმოების მიხედვით.

არსებითი სახელის ბრუნება თანამედროვე ისლანდიურ ენაში.

აღსანიშნავია, რომ მორფოლოგიური და ფონეტიკური განსხვავებანი ძველისლანდიურსა და თანამედროვე ისლანდიურს შორის საკმაოდ მცირეა. თავად ისლანდიელები კატეგორიულად წინააღმდეგნი არიან მათი ენის ძველ- და თანამედროვე ისლანდიურად დაყოფისა და მით უმეტეს, ძველისლანდიურის მკვდარ ენად გამოცხადებისა. ამისდა მიუხედავად, ქვემოთ განხილულ პარადიგმებსა და

მაგალითებში შეძლებისდაგვარად აღნიშნულია განსხვავებები ძველისლანდიურსა და თანამედროვე ისლანდიურს შორის, რაც ენათმეცნიერებით დაინტერესებულთათვის ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული.

ისლანდიურ ენაში, გერმანული ენისგან (და მით უფრო ინგლისურისა და შვედურისგან) განსხვავებით, არსებითი სახელების ბევრად მეტი ბრუნების ტიპი არსებობს. ბრუნების ეს ტიპები იყოფა **ძლიერ ბრუნებად**, **სუსტ ბრუნებად** და **თანხმოვანფუძიანი არსებითების ბრუნებად** და ეფუძნება ფუძის მაწარმოებელ ელემენტს.

არსებით სახელთა **ძლიერი ბრუნება** ისლანდიურ ენაში, თავის მხრივ, იყოფა რამდენიმე ქვეტიპად, ესენია: **-a- ფუძიანი**, **-o- ფუძიანი**, **-i- ფუძიანი** და **-u- ფუძიანი** არსებითი სახელების **ბრუნების ტიპები**. **სუსტი ბრუნება** მოიცავს **-n-** თანხმოვანფუძიანი არსებითი სახელების ბრუნებას. **სხვა თანხმოვანფუძიანი ბრუნების ტიპი** კი აერთიანებს **-r-ფუძიანი** და **-nd- ფუძიანი** მცირერიცხოვანი არსებითების ბრუნებას. ქვემოთ განხილული იქნება რამდენიმე პარადიგმა ისლანდიური არსებითების სხვადასხვა ბრუნების ტიპიდან.

არსებით სახელთა ძლიერი ბრუნება.

-a- ფუძიანი არსებითი სახელები

dagr (*თანამედრ. ისლ. dagur*) „დღე“

	მხოლოდითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახელობითი	dagr (<i>თანამედრ. ისლ. dagur</i>)	dagar ⁵
ნათესაობითი	dags	daga
მიცემითი	degi	dögum (<i>თანამედრ. ისლ. dögum</i>)
ბრალდებითი	dag	daga

აღსანიშნავია აგრეთვე ძველისლანდიური ენისა (და დანარჩენი ძველი სკანდინავიური ენების) ევოლუციის გვიანდელ სტადიაზე ჩვენებითი

⁵ აღსანიშნავია, რომ შვედური ენის მსგავსად, ისლანდიურშიც ფლექსიების -r ელემენტი მიღებულია -s-გან როტაციზმით. მაგალითად, ძვ. ისლ. dagr (თანამედროვე ისლ. dagur) „დღე“, ძვ. ისლ. fiskr (თანამედროვე ისლ. fiskur) „თევზი“ და სხვა შეადარეთ გოთურ ფორმებს fisks, dags და სხვა.

ნაცვალსახელისგან განვითარებული პოსტპოზიციური არტიკლის წარმოქმნა. ეს მოვლენა უკვე განვიხილეთ შვედურ ენასთან მიმართებით. ეს არტიკლი (როგორც სახელწოდებიდან ჩანს) არსებითს ბოლოში ერთვის, მასთან შერწყმულად იწერება და მას განსაზღვრულობას ანიჭებს (ანალოგიურად თანამედროვე ინგლისური the და გერმანული der/die/das არტიკლებისა). ეს არტიკლი ძველ და თანამედროვე ისლანდიურში იბრუნვის მხოლოებითი და მრავლობითი რიცხვის ოთხივე ბრუნვაში და ისლანდიური ენის გრამატიკის დაუფლებას ნამდვილად არ აიოლებს. პოსტპოზიციური არტიკლის მქონე არსებითს ისლანდიურსა და სხვა სკანდინავიურ ენებში არსებითის განსაზღვრული ფორმა ეწოდება.

ასე მაგალითად, ზემომოყვანილი არსებითი სახელის dagr განსაზღვრული ფორმის პარადიგმა შემდეგნაირად გამოიყურება:

	მხოლოებითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახელობითი	dagrinn (<i>თანამედრ. ისლ. dagurinn</i>)	dagarnir
ნათესაობითი	dagsins	daganna
მიცემითი	deginum	dögunum (<i>თანამედრ. ისლ. dögunum</i>)
ბრალდებითი	daginn	dagana

-ი- ფუძიანი არსებითი სახელები

höll (*თანამედრ. ისლ. höll*) „სასახლე“.

	მხოლოებითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახელობითი	höll (<i>თანამედრ. ისლ. höll</i>)	hallar
ნათესაობითი	hallar	halla
მიცემითი	höll, höllu (<i>თანამედრ. ისლ. höll, höllu</i>)	höllum (<i>თანამედრ. ისლ. höllum</i>)
ბრალდებითი	höll (<i>თანამედრ. ისლ. höll</i>)	hallar

არსებით სახელთა სუსტი ბრუნვა (-n- თანხმოვანფუძიანი არსებითები).

ამ კლასის არსებითი სახელებისათვის დამახასიათებელი -n თანხმოვნის დაკარგვა ბრუნვის დაბოლოებებში (დაბოლოება -an გვხვდება რუნიკულ სკანდინავიურში და ძველსკანდინავიურში)

hani „მამალი“

	მხოლოებითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახელობითი	hani	hanar
ნათესაობითი	hana	hana
მიცემითი	hana	hɔnum (თანამედრ. ისლ. hönnum)
ბრალდებითი	hana	hana

- **r-** თანხმოვანფუძიანი (ნათესაობის აღმნიშვნელი) არსებითები

faðir „მამა“

	მხოლოებითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახელობითი	faðir	feðr (თანამედრ. ისლ. feður)
ნათესაობითი	föður (თანამედრ. ისლ. föður)	feðra
მიცემითი	feðr, föður (თანამედრ. ისლ. föður)	feðrum
ბრალდებითი	föður (თანამედრ. ისლ. föður)	feðr (თანამედრ. ისლ. feður)

ასეთია ძველისლანდიური არსებითების კლასიფიკაცია, რომელიც ეფუძნება ფუძის მაწარმოებელ ელემენტებს. ბრუნვის დაბოლოებათა სერიოზული რედუქციისა და ანალოგიურ ცვლილებათა დიდი რაოდენობის მიუხედავად, ისლანდიურში ძირითადად ნარჩუნდება პროტოგერმანიკულსა და გოთურში არსებითი სახელებისათვის დამახასიათებელი პარადიგმები.

როგორც ზემოთ წარმოდგენილი ანალიზიდან ჩანს, არსებითი სახელის მორფოლოგია საკმაოდ განსხვავდება თანამედროვე ინგლისურ, გერმანულ, შვედურ და სკანდინავიურ ენებში. არსებითი სახელის ბრუნების სისტემის მიხედვით ძნელია საუბარი მსგავსებაზე, ერთი მხრივ ინგლისურ ენასა და, მეორე მხრივ, გერმანულ ან ისლანდიურ ენებს შორის. უფრო მეტი მსგავსებაა ინგლისურსა და შვედურს შორის, ან გერმანულსა და ისლანდიურ ენებს შორის (4 ბრუნვა, ძლიერი ბრუნება, სუსტი ბრუნება), თუმცა, ისლანდიური ენა ბრუნების ტიპების უფრო დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

რეალურად კი, ოთხივე ენის არსებითი სახელის სისტემა ამოზრდილია ძველი გერმანიკული არსებითი სახელის მორფოლოგიიდან, რომელიც სრულიად იდენტური იყო გოთურსა და სხვა ძველგერმანიკულ ენებში. ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავთ არსებითი სახელის ბრუნების სისტემას ძველგერმანიკულ ენებში.

არსებითი სახელი ძველგერმანიკულ ენებში.

არსებითი სახელის ბრუნვის ტიპი არსებითად შეიცვალა ინდოევროპულიდან პროტოგერმანიკული ტიპის ჩამოყალიბებამდე. შეიცვალა ბრუნვათა დაბოლოებები, შეიკვეცა ბრუნვათა რიცხვი, გერმანიკულ ენებში მათი რიცხვი ოთხამდე შემცირდა (სახელობითი – **Nominative**, ნათესაობითი – **Genitive**, მიცემითი – **Dative**, ბრალდებითი – **Accusative**). არსებით სახელებს ძველგერმანიკულ ენებში ჰქონდა სამი კატეგორია: ბრუნვის, სქესის და რიცხვის. ძველგერმანიკულ ენებში გამოიყოფა არსებითი სახელების ბრუნების სამი ძირითადი ტიპი:

1. ძლიერი ბრუნება, ანუ ხმოვანფუძიანი არსებითი სახელების ბრუნება;
2. სუსტი ბრუნება, ანუ -n- თანხმოვანფუძიანი არსებითი სახელების ბრუნება;
3. ბრუნების სხვა ტიპები, რომლებიც აერთიანებენ:
 - 1) ძირისეული არსებითი სახელების ბრუნებას;
 - 2) -r-, -s-, -nd- თანხმოვანფუძიანი არსებითი სახელების ბრუნებას.

ძლიერი ბრუნება მოიცავს -a-, -i-, -ō-, -u- ფუძიანი არსებითი სახელების ბრუნებას. მაშასადამე, ძველგერმანიკულ ენებში გამოიყოფა:

- a- ფუძიანი არსებითი სახელების ბრუნება (-ja- და -wa- ქვეტიპები);
- ō- ფუძიანი არსებითი სახელების ბრუნება (-jō- და -wō- ქვეტიპები);
- i- ფუძიანი არსებითი სახელების ბრუნება;
- u- ფუძიანი არსებითი სახელების ბრუნება;
- n- თანხმოვანფუძიანი არსებითი სახელების ბრუნება – სუსტი ბრუნება.
- r- თანხმოვანფუძიანი (ნათესაობის აღმნიშვნელი) არსებითი სახელების ბრუნება;
- s- თანხმოვანფუძიანი არსებითი სახელების ბრუნება;

-nd- ფუძიანი (მიმღობრივი წარმომავლობის) არსებითი სახელების ბრუნება;
ძირისეული არსებითი სახელის ბრუნება.

მთლიანობაში, ყველა ქვეტიპის გათვალისწინებით, ძველგერმანიკულ ენებში **25-მდე ბრუნების ტიპი** გამოიყოფა. ქვემოთ განხილული იქნება ძველგერმანიკულ არსებით სახელთა ბრუნების რამდენიმე ტიპი.

-a- ფუძიანი არსებითი სახელების ბრუნება ძველგერმანიკულ ენებში აერთიანებს მამრობითი და საშუალი სქესის არსებით სახელებს. ამ ტიპის ბრუნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ძველგერმანიკულ ენებში, რადგან იგი მოიცავს ძველგერმანიკული ენების არსებითი სახელების უმეტეს ნაწილს.

a- ფუძიანი არსებითი სახელების ბრუნებას აქვს 2 ქვეტიპი **-ja-** და **-wa-** ფუძიანი არსებითი სახელების ბრუნება. აღნიშნული ქვეტიპის არსებითი სახელები იბრუნვის ისე, როგორც -a- ფუძიანი არსებითი სახელები. განსხვავება ისაა, რომ -ja- ფუძიანი არსებით სახელებში ბრუნვის დაბოლოების წინ ჩნდება ფუძისეული ელემენტი -j-, ხოლო -wa ფუძიანებში – ფუძისეული ელემენტი -w-.

გოთური ენის მაგალითი:

	-a- ფუძიანი	-ja- ფუძიანი	-wa- ფუძიანი
მხ. რ. სახ. dags (დღე)		harjis (ჯარი)	kniu (მუხლი)
ნათ. dagis		harjis	kniwis
მიც. daga		harja	kniwa
ბრ. dag		hari	kniu
მრ.რ. სახ. dagōs		harjōs	kniwa
ნათ. dagē		harjē	kniwē
მიც. dagam		harjam	kniwam
ბრ. dagans		harjans	kniwa

-a- ფუძიანი არსებითების ბრუნების ნიმუში ძველ ინგლისურში:

	-a- ფუძიანი	-wa- ფუძიანი
მხ. რ. სახ. stān (ქვა)		bearu (პატარა ტყე)
ნათ. stān-es		bearwes
მიც. stān-e		bearwe
ბრ. stān		bearu
მრ.რ. სახ. stān-as		bearwas

ნათ. stān-a	bearwa
მიც. stān-um	bearwum
ბრ. stān-as	bearwas

-ō- ფუძიანი არსებითი სახელების ბრუნება აერთიანებს მდედრობითი სქესის არსებით სახელებს და მოიცავს ორ ქვეტიპს -jo- და -wo- ფუძიანი არსებითი სახელების ბრუნებას.

გოთური	ძველი ზემოგერმანული	ძველი ინგლისური
მხ. რ. სახ. giba (საჩუქარი)	geba (საჩუქარი)	wund (ჭრილობა)
ნათ. gibōs	geba	wunde
მიც. gibai	gebu	wunde
ბრ. giba	geba	wunde
მრ. რ. სახ. gibōs	gebâ	wunda
ნათ. gibō	gebōno	wunda
მიც. gibōm	gebōm	wundum
ბრ. gibōs	gebâ	wunda

-n- თანხმოვანფუძიანი არსებითების ბრუნება, სუსტი ბრუნება ძველ გერმანიკულ ენებში.

ინდოევროპულ ენებში ფართოდ იყო გავრცელებული -n- ფუძისმაწარმოებელი სუფიქსის მქონე არსებითი სახელები. გერმანიკულ ენებში -n- ფუძისმაწარმოებელმა ელემენტმა ახალი ფუნქცია შეიძინა. იგი იქცა დაბოლოებად და დასაბამი მისცა ბრუნების ახალ ტიპს - **სუსტ ბრუნებას**. სუსტი ბრუნება ფართოდ იყო გავრცელებული გერმანიკულ ენებში და მოიცავს სამივე სქესის არსებით სახელებს.

სუსტი ბრუნება გერმანიკული ინოვაციაა. ინდოევროპულ ენათა ოჯახის არც ერთ შტოში არ ფიქსირდება ანალოგიური პარადიგმები. ამიტომ, სუსტი ბრუნება გერმანიკული ენების მნიშვნელოვანი საერთო ლინგვისტური ნიშანია მორფოლოგიურ დონეზე.

ქვემოთ წარმოდგენილია სუსტი ბრუნების პარადიგმები გოთური, ძველი ზემოგერმანული და ძველი ინგლისური ენების მასალაზე.

გოთური

	მამრობითი სქესი	მდედრობითი სქესი
მხ. რ.	სახ. guma (კაცი)	tuggō (ენა)
	ნათ. gumins	tuggōns
	მიც. gumin	tuggōn
	ბრ. guman	tuggōn
მრ. რ.	სახ. gumans	tuggōns
	ნათ. gumanē	tuggōnō
	მიც. gumam	tuggōm
	ბრ. gumans	tuggōns

ძველი ზემოგერმანული

ძველი ინგლისური

მხ. რ.	სახ. zunga (ენა)	tunze (ენა)
	ნათ. zungūn	tunzan
	მიც. zungūn	tunzan
	ბრ. zungūn	tunzan
მრ. რ.	სახ. zungūn	tunzan
	ნათ. zungōno	tunzena
	მიც. zungōm	tunzum
	ბრ. zungūn	tunzan

ძველგერმანიკული არსებითი სახელის ბრუნების სისტემის ევოლუცია თანამედროვე გერმანიკულ ენებში.

როგორც ძველგერმანიკული ენების არსებითი სახელის ბრუნების სისტემის ანალიზიდან ჩანს, ამ სისტემამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა სხვადასხვა გერმანიკულ ენებში.

ყველაზე ახლოს საერთო გერმანიკულ სისტემასთან თანამედროვე **ისლანდიური ენაა**, რომელიც, როგორც არაერთგზის აღინიშნა, კონსერვატიულობით გამოირჩევა და შენარჩუნებული აქვს ბევრი საერთო გერმანიკული ნიშან-თვისება, მათ შორის არსებითი სახელის სისტემაში. ბრუნვის დაბოლოებათა სერიოზული რედუქციისა და ანალოგიურ ცვლილებათა დიდი რაოდენობის მიუხედავად, ისლანდიურში

ძირითადად ნარჩუნდება არსებითათვის პროტოგერმანიკულსა და გოთურში დამახასიათებელი პარადიგმები. თანამედროვე ისლანდიური ენა არა მარტო ინარჩუნებს ისეთი ბრუნების ტიპებს, როგორცაა **ძლიერი ბრუნება** და **სუსტი ბრუნება**, არამედ ინარჩუნებს არსებითების კლასიფიკაციას ფუძის მაწარმოებელი ელემენტების მიხედვით (-a- ფუძიანი, -o- ფუძიანი, -i- ფუძიანი, -u- ფუძიანი, -n- ფუძიანი, -r- ფუძიანი, -s- ფუძიანი და სხვა.).

თანამედროვე **გერმანული ენა** თავისი სტრუქტურით სინთეზურია და შედარებით უფრო ახლოს დგას გოთურთან, ძველისლანდიურთან და პროტოგერმანიკულთან. კერძოდ, გერმანული არსებითი სახელები იბრუნვის ოთხი ბრუნვის (სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი და ბრალდებითი) მიხედვით მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში. გერმანულში მკაფიოდაა გამოხატული მამრობითი, მდედრობითი და საშუალი გრამატიკული სქესები. თანამედროვე გერმანული ინარჩუნებს განსხვავებას **ძლიერ** და **სუსტ** არსებით სახელთა ბრუნებას შორის. მიუხედავად სინთეზური ენისთვის დამახასიათებელი არაერთი თვისების შენარჩუნებისა, თანამედროვე გერმანულში მრავლადაა ანალიტიკური ენებისათვის დამახასიათებელი თვისებებიც. კერძოდ, ამ ენის განვითარების ძველი ზემოგერმანული პერიოდისა და საშუალო ზემოგერმანული პერიოდების განმავლობაში მომხდარმა ანალოგიურმა ცვლილებებმა არსებითა ბრუნვების დაბოლოებების მნიშვნელოვანი რედუქცია და ბრუნების პარადიგმების გამარტივება გამოიწვია. დღესდღეობით, გერმანულში შეუძლებელია საუბარი არსებითების კლასიფიკაციაზე ფუძის მაწარმოებელი სუფიქსების მიხედვით. -a-, -o-, -u-, -i- და სხვა ფუძიან არსებითებად. ამ საკითხზე თანამედროვე გერმანულში მხოლოდ ეტიმოლოგიურ თუ ისტორიულ კონტექსტში შეგვიძლია ვილაპარაკოთ; ანუ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომელ კატეგორიას (ფუძიანობის მიხედვით) განეკუთვნებოდა ესა თუ ის თანამედროვე გერმანული სიტყვა ენის განვითარების ძველ ზემოგერმანულ ან საშუალო ზემოგერმანულ ეტაპზე, თავად თანამედროვე გერმანულში კი ადრე ამ კატეგორიებში შემავალი არსებითები ერთმანეთთან ძალზე მცირე მსგავსებას თუ სიახლოვეს ავლენენ ფორმათწარმოების

თვალსაზრისით და სულ სხვა პარამეტრების მიხედვით კლასიფიცირდებიან, როგორც ზემოთ ვნახეთ.

შვედური ენისათვის, რომელიც ისლანდიურის ახლომონათესავე ენაა და ისლანდიურის ანალოგიურად საერთოსკანდინავიური ენის „შთამომავალია“, არსებითი სახელების ფორმათწარმოების მრავალფეროვნება მთლიანად დაკარგულია. რაიმე საუბარი ფუძის მაწარმოებელი სუფიქსების მიხედვით შვედური არსებითების დაყოფის შესახებ უბრალოდ შეუძლებელია. განსხვავებებს ადგილი აქვს მხოლოდ არსებითთა მრავლობითი რიცხვის წარმოებაში. ეს კი თვისობრივად განსხვავდება იმ სურათისგან, რომელიც გოთურში და ძველისლანდიურში დასტურდება. ამ ენაში მომხდარია იმგვარი ცვლილებები, რომლებმაც შვედური ენა ანალიტიკურ ენათა კატეგორიაში გადაიყვანა. არსებითთა ბრუნვებიდან შვედურში შემორჩენილია მხოლოდ საერთო და ნათესაობითი ბრუნვები.

აღსანიშნავია, რომ ძველი შვედური **სუსტი ბრუნების** დაბოლოების **-n-** კვალი შემორჩენილია რამდენიმე არსებითი სახელის მრავლობითი რიცხვის წარმოებისას. ესენია ძირითადად სხეულის ორგანოთა აღმნიშვნელი საშუალი სქესის არსებითი სახელები. მაგ. :

ÖGA შვედ. „თვალი“

öga მხ. რ. > **ögon** მრ. რ.

ÖRA შვედ. „ყური“

öra მხ. რ. > **öron** მრ. რ.

HJÄRTA [ˈjɛr.ta] შვედ. „გული“

hjärta მხ. რ. > **hjärtan** მრ. რ.

ძველი გერმანიკული არსებითი სახელის ბრუნების სისტემა, შვედურის მსგავსად, მთლიანად დაიკარგა თანამედროვე ინგლისურ ენაში, რომელიც ძველი ინგლისური სინთეზური ენიდან თანამედროვე ანალიზურ ენად გარდაიქმნა. თანამედროვე ინგლისურში, შვედურის მსგავსად, ძველი გერმანიკული ბრუნების სისტემის ოთხი ბრუნვის ნაცვლად მხოლოდ ორი შემორჩა: საერთო ბრუნვა და კუთვნილებითი

ბრუნვა. კუთვნილებითი ბრუნვა, განსხვავებით შვედური ენისგან, ადარ არის ნათესაობითი ბრუნვა, რომელიც ყველა არსებითთან გამოიყენება, არამედ მისი ხმარება საკმაოდ შეზღუდულია.

ინგლისურ ენაში, შვედური ენის მსგავსად, არ გამოიყოფა ძლიერი ბრუნება და სუსტი ბრუნება, თუმცა სამ არსებით სახელში შემორჩენილია ძველი ინგლისური ენის არსებით სახელთა **სუსტი ბრუნების** დაბოლოების **-n-** კვალი. მაგ.: child – children, ox – oxen, brother – brethren (*სულიერი ძმა, რელიგიური საძმოს წევრი*).

თანამედროვე ინგლისური ენის კიდევ რამდენიმე გამონაკლისი მრავლობითი რიცხვის წარმოების საერთო წესიდან გამოწვეულია იმით, რომ ეს არსებითი სახელები **ძირისეული** არსებითი სახელების ბრუნების ტიპს განეკუთვნებოდნენ და მრავლობით რიცხვს უმლაუტით, ფუძისეული ხმოვნის შეცვლით აწარმოებდნენ: foot – feet, tooth – teeth, goose – geese, mouse – mice, man – men, woman- women და სხვა.

ამდენად, ძველი გერმანიკული არსებითი სახელის ბრუნების სისტემა ყველაზე კარგად შეინარჩუნა თანამედროვე ისლანდიურმა ენამ, თანამედროვე ინგლისურ და შვედურ ენებში ეს სისტემა მთლიანად დაიკარგა, ხოლო გერმანული ენა არის ამ ორ უკიდურესობას შორის, მან ბევრი გერმანიკული ნიშან-თვისება შეინარჩუნა, თუმცა დაკარგა ძველგერმანიკული არსებითი სახელის სისტემისთვის დამახასიათებელი დიდი მრავალფეროვნება.

უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

1. ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების (რომლის ძირითადი პოსტულატებიც მე-4 თავში განვიხილეთ) მიხედვით, მეტყველების რა ნაწილებში იჩენს თავს საერთო ლინგვისტური ნიშნები მონათესავე ენებს შორის? შეგიძლიათ რაიმე კონკრეტული მაგალითების გახსენება?
2. რატომ არის მნიშვნელოვანი მონათესავე ენათა საერთო ლინგვისტური ნიშნების შესახებ მსჯელობისას დიაქრონიული პერსპექტივის გათვალისწინება?

3. რა შეიძლება ითქვას თანამედროვე ინგლისური ენის არსებითა ბრუნების სისტემის შესახებ? ეთქმის თუ არა თანამედროვე ინგლისურს ფლექციებით მდიდარი / მრავალფეროვანი ენა?
4. არსებითა რამდენი ბრუნვა შეიძლება გამოიყოს თანამედროვე ინგლისურ ენაში?
5. რამდენად უნიფიცირებულია თანამედროვე ინგლისურში მრავლობითი რიცხვის წარმოების წესი? არსებობს თუ არა რაიმე გამონაკლისები ამ წესიდან? (თუ არსებობს, მოიყვანეთ რამდენიმე მაგალითი)
6. ანალიზურობის თვალსაზრისით, რა მსგავსებები და განსხვავებები შეიმჩნევა თანამედროვე შვედურსა და ზემოთ განხილულ ინგლისურს შორის?
7. ინგლისურ და შვედურ ენებს თუ განვიხილავთ, რომელი მათგანი გამოირჩევა უფრო მეტი მორფოლოგიური მრავალფეროვნებით მრავლობითი რიცხვის წარმოების თვალსაზრისით? (მოიყვანეთ რამდენიმე მაგალითი)
8. რა საინტერესო თავისებურება ახასიათებს განსაზღვრულ არტიკლებს შვედურ ენაში?
9. ანალიზურობა-სინთეზურობის თვალსაზრისით, რით გამოირჩევა თანამედროვე გერმანული ენა ზემოთ განხილული ინგლისურისა და შვედურისაგან?
10. მორფოლოგიური თვალსაზრისით, თანამედროვე გერმანული უფრო მოგაგონებთ გოთურსა და ძველ ინგლისურს, თუ თანამედროვე ინგლისური ან შვედური?
11. რამდენი ბრუნვა გამოიყოფა თანამედროვე გერმანულ ენაში?
12. რამდენად ინარჩუნებს თანამედროვე ისლანდიური ენა ბრუნების ტიპებს / კლასებს (ფუძის მაწარმოებელი ელემენტების მიხედვით), რომლებიც ძველი გერმანიკული ენებისთვის იყო დამახასიათებელი?
13. თქვენი შთაბეჭდილებით, რომელი ენა უფრო რთულია მორფოლოგიურად (და სასწავლად) – გოთური, თუ ისლანდიური?
14. ძველი და თანამედროვე გერმანიკული ენების არსებითა პარადიგმების ერთმანეთთან თუნდაც ყველაზე ზედაპირული შედარების საფუძველზე, რა დასკვნის გაკეთება შეგიძლიათ ამ ენების განვითარების ზოგადი ტენდენციების შესახებ?
15. ამ თავში განხილული თანამედროვე გერმანიკული ენებიდან, რომელი მათგანის არსებითა მორფოლოგია მიგაჩნიათ უფრო ახლოს მდგომად ძველგერმანიკული არსებითი სახელების ბრუნების სისტემასთან?

